

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი №1

25.02.2021წ.

ქ.ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე- კარლო ჯამბურია

**სხდომას ესწრებოდნენ:**

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: ს.ლონლაძე; თ. მუმლაძე; ი. ხაჩიძე ნ.კუპრაშვილი;მ. სიუკაშვილი; ბ. შუბითიძე.(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის)

**დღის წესრიგი:**

1. ათეა-ს პროექტის „ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის“ ფარგლებში მიმდინარე აქტივობების განხილვა.

/ მომხს: ს. ლონლაძე/

2. ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის (LAG) სარეკომენდაციო წერილის შესახებ.

/მომხს:ს. ლონლაძე/

3. სხვადასხვა.

**მოისმინეს:**

1. მომხსენებელმა საბჭოს წევრებს გააცნო ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის(ათეა) წერილი. ათეამ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის პროექტის ფარგლებში შეიმუშავა გენდერული თანასწორობისა და მეინსტრიმინგის სტრატეგია და ამ სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რომლის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად განისაზღვრა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა.ამ მიზნით ხორციელდება „ქალთა ისტორიების“ შეგროვება მათი შემდგომი ვიზუალიზაციის მიზნით. ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო უნდა შეუერთდეს აღნიშნულ აქტივობას და მოიძიოს მუნიციპალიტეტში პროექტის შესაბამისი ძალადობის მსხვერპლ ქალთა ისტორიები.

2. ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის სარეკომენდაციო წერილის შესახებ. მომხსენებელმა საბჭოს წევრებს გააცნო lag-ის მიერ შემოთავაზებული წინადადება გენდერული საბჭოს 2020 წლის ბიუჯეტში ქალთა ეკონომიკური გამლიერების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული ფინანსური რესურსი 5000 ლარის ოდენობით მიმართული იყოს ადრეულ ასაკში დაქორწინებული ქალების პროფესიული სწავლების მოკლევადიანი კურსების დასაფინანსებლად. აღნიშნული საკითხი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხილული იყო, თუმცა სასურველი შედეგი არ დამდგარა ობიექტური მიზეზების გამო. საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის კვლავ წინ წამოწევა.


დაადგინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები შეთანხმდნენ მიმართონ თემებში მერის წარმომადგენლებს და სათემო ორგანიზაციებს ინფორმაციის მოძიების მიზნით.
2. გენდერული თანასწორობის საბჭომ მიმართოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას, გამოყონ ბიუჯეტიდან თანხა ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის მიერ შემოთავაზებული პროექტის დასაფინანსებლად.

სხდომის თავმჯდომარე:

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარე :



/ კ. ჯამბურია /

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის  
საბჭოს მდივანი:



/ თ. მუმლაძე /